სახალხო გაზეთი

№ 1121 ჵარასკევი, 21 თებერვალი 1914 წ. № 1121

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძალაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) **„უგვირგვინო მეფენი"**, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) **„მიმქრალი შარავანდედი"**, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: **„დონ-კარლოსი"**, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო** შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული", ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № ხაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისიდან ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთიდან ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელისმოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 ივნისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის" კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან. 2) ქ. შ. წ. კ. გამ. ამხ. ც. ქამბეგაშვილის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

გრიგოლი, აკაკი და ალექსანდრე ლუკას ძენი, ოლღა და ოლიმპიადა ლუკას ასულნი ქორქაშვილები, კნ. მარიამ ლუკას ასული ჩიქოვანისა, თ-დი გიორგი იასონის ძე ჩიქოვანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 22 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, გარდაცვალების ორმოცის თავზე, ქუთაისის სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი განსვენებულ

ნატალია ლუკას ასულის ქორქაშვილის

სულის მოსახსენებლად. 1068

სერგი ბესარიონის ძე ელიავა და მეუღლე მისი **ნინო თომას ასული** და **ბაბუა თომა** და მეუღლე მისი **ნატალია ჩემიები** ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ შვილის—ყრმის

გიორგი (გოგი) ელიავას

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება დღის, 21 თებერვალს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. წირვა გადახდილ იქნება პეტრე-პავლესეს ეკლესიაში. ცხედრის გამოსვენება სახლიდან (კახეთის ქუჩა, 61, ავლაბარი) დილის 11 საათზე.

ახალი კლუბი

მამასახლისთა საბჭო აუწყებს კლუბის წევრთ, რომ

წევრთა წლიური საზოგადო კრება

დანიშნულია კლუბის სადგომში შაბათს, 22 თებერვალს, საღამოს 8 საათზე. ეს კრება როგორც მეორედ დანიშნული კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს; განსახილველია შემდეგი საქმეები: 1) ანგარიში 1913 წლისა; 2) ხარჯთ-აღრიცხვა 1914 წლისთვის; 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 4) მიმდინარე საქმეები; 5) არჩევანი მამასახლისებისა და მათ კანდიდატთა; 6) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათ კანდიდატებისა და 7) არჩევანი წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა. 1052.

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

საგანგებო რეკლამის გულისათვის

სარატოვის სარფინკების მექარხნეთა

სავაჭრო სახლის

„ე. ე. მაიერ"-ის

მაღაზიაში

ერევნის მოედანი, სასტუმრო „კავკაზ"-ის ქვეშ, ტელეფ. № 13—15.

ამ წლის 21 თებერვლიდან 1 მარტამდე დანიშნულია გაყიდვა მაღაზიაში მყოფ ყველა საქონლისა

საარაკო იაფ ფასებში

ნამდვილ ღირებულებაზე 20 და 40 პროცენტის დაკლებით.

საჭიროა ყველამ შემოიაროს მაღაზიაში და თვითონ დარწმუნდეს ნამდვილ იაფობაში.

პატივისცემით **სავაჭრო სახლი „ე. ე. მაიერი"**.

1066

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მეცხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914"**. 1604

არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი

სამშაბათს, 25 თებერვალს, 1914 წ. ცნობილი მოსკოველი ჟურნალისტი

ს. ვ. იაბლონოვსკი

წაიკითხავს **ლექციას**

„ცხოვრებიდან მიმავალნი"

(თვითმკვლელობის საკითხზე)

ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი დამსწრე საზოგადოების მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათს, 27 თებერვალს, მეორე ლექცია **ს. ვ. იაბლონოვსკისა: „დაუბადებელთა უფლება"** (მუცლის მოწყვეტის წინააღმდეგ). ბილეთები 55 კ. 3 მ. იყიდება არტისტიულ საზოგადოების კლუბში შესავლელთან. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 116

ამხანაგობა

„გრამოფონი"

პატრონები:

ამბაროვი და ალაჯანოვი,

ერევნის მოედანი, თამამშევის პასსაჟი.

აწვდის მყიდველებს

მთელ ქვეყნიერობაზე საუკეთესო

გრამოფონებს „ამურს".

ფასის გადახდა შეიძლება

წვრილ-წვრილად.

მიღებულია ბევრი ახალი

ფირფიტა.

1061

ქ. გორში

ექიმი (დოკტორანტი). **მ. დ. წინამძღვარიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1571

ექიმი ზ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117, ტელეფონი 816.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1608

დღეიდან

ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. ქლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914".

1023

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქვენიფნევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლოთ.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები**:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე ზ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფიდოროვი ი. გ.** ყოველ დღე, 11—12. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ი.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—.
ბავშვთა სნეულ.	**მიქელაძე ზ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი ი. გ.** ყოველ დღე 11—12. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ-დღე 1-ნახ —2 ს.
ვენერიულ. სნეულებ. და კანის	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელის, ყურის და ცხვირ.	**ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კბილ. და პირ. ავ.	**ჭავასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 107

გამოფენა

ჭლექთან მებრძოლ

კავკასიის საზოგადოებისა

საყოველთაოდ იუწყება, რომ კვირას, 23 თებერვალს, „თეთრ ყვავილის" ამბულატორიასთან (19 თებერვლის ქუჩა, № 47), გაიხსნება ჭლექის საწინააღმდეგო მასალათა

მუზეუმი,

მედიცინის დოქტორ ფ. ლ. ფეხნერის შეკრებილი. მუზეუმი ღია იქნება ყოველ კვირა დღეს, შუადღეის 12 ს.-დან 3 ს.-დე, შესვლა უფასოა. მუზეუმი პირველად ღია იქნება 23 თებერ., შუადღის 12 საათზე.

ქართული თეატრი

კვირას, 23 თებერვალს, 1914 წ. გაიმართება

ლექცია

ქართულ ენაზე ქ-ნ ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძისა შემდეგ თემაზე:

„ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში"

1. მე-18 საუკუნის მიწურულის და მე-19-ეს დასაწყისის საქართველოს ცხოვრებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა. 2. იდეალური და რეალური ქალი ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. 3. ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი" გმირი, როგორც ხალხის სულის საუკეთესო თვისებათა მატარებელი. 4. ძველი დედების გაიდეალება ი. ჭავჭავაძის და აკაკის ნაწარმოებში. 5. ახალი დროის სიო და ახალი ქალის ტიპის შექმნის ცდა ე. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი". 6. ქართველი ინტელიგენტი ქალის „ტიპი" შიო არაგვისპირელის მოთხრობაში „ჩემი სამშობლო ჩემი გულია". 7. ქართველი ქალი ქართული პრესის სამსჯავროს წინაშე. 8. დასკვნა. დასაწყისი დილ. 12 ს. ფასები 20 კ. 1 მანეთამდე. 1069

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ. ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1041

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვასებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორ**განოთა, **ათაშანგისა** და კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე.

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ტფილისი, 21 თებერვალი

გარდამავალი ხანა.

ხშირად მოჰხდება ხოლმე, რომ ცხოვრების ზედგავლენით ესა თუ ის საზოგადოებრივი მიმართულება ფეხს იცვლის, ახალ-ახალი ლოზუნგები იბადება, იცვლება სახელმძღვანელო პრინციპებიც. ეს არც გასაკვირველია. ცხოვრება ხომ დაუსრულებელი ცვლილებაა, დაუსრულებელი განვითარება! როგორ შეიძლება პოლიტიკური აზროვნება ერთს დონეზე გაიყინოს, როდესაც ცხოვრება დაუსრულებლივ წინ მიდის? როგორ შეიძლება პრინციპი უცვლელი დარჩეს მრავალ წლების განმავლობაში, როდესაც თვით ცხოვრება იცვლება და ადამიანის გონების თვალ-წინ ახალ-ახალი ჰორიზონტები იშლება? უცვლელი და გაყინულია მხოლოდ დოგმა, მაგრამ ისიც კი, ცხოვრების ულმობელ სინამდვილის ზედ-გავლენით, ფეხს იცვლის და ხშირად ახალს ელფერს იღებს ხოლმე. მაგრამ ამისთანა ცვლილებისთვის საჭიროა ჭეშმარიტი ცვლილება ცხოვრებისა, საჭიროა ცხოვრების განვითარებამ მოსჭამოს ის, რაც ადამიანის გონების თვალ-წინ მხოლოდ სახელმძღვანელო პრინციპად იყო გადაქცეული. მხოლოდ ხორცშესხმული, რეალობად ქცეული პრინციპი შეიძლება შეიცვალოს ახალი რამ პრინციპით, ისეთით, რომელიც შეცვლილ პირობებს შეეფერება.

ასეთი მიზეზებით გამოწვეული ახალი პრინციპიალური გაშუქება ცხოვრების მიზნებისა ნაყოფიერი იქნება და კიდეც შეიძლება, მართლაც, საზოგადოების ასე თუ ისე ფართო ნაწილის სახელმძღვანელო პრინციპად იქცეს. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რუსეთში, მაგალითად, კონსერვატიული და ნაციონალისტური პრინციპები მხოლოდ სახელმწიფოებრივ უხეშ ძალის დახმარებით ჰპოულობს გასავალს. იგი აძლევს მათ სასიცოცხლო ძალას. პირ-იქით, პროგრესიული პრინციპები თავის შინაგან თვისებაში ჰპოულობს ზნეობრივ ავტორიტეტს და შესაძლებლად ჰხდიან დაუსრულებელ განვითარებას. ამაშია ძალა იდეიური თვითარსებობისა. ზოგიერთ კერძო შემთხვევებში ეს იდეიური ცხოვრება მცდარიც რომ იყოს, მასში დაცულიც რომ არ იყოს შინაგანი მთლიანობა, მაინც ძალა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამნაირი იდეიური მოძრაობისა ყოველთვის უფრო ძლიერი და ნაყოფიერია ხოლმე, ვიდრე ისეთი მოძრაობისა, რომელსაც არავითარი პრინციპიალური საფუძველი არა აქვს და, მაშასადამე, უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ იმპულსიურია.

საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემის შესუსტების დროს ყოველთვის ეცემა იდეიური მოძრაობა და თავს იჩენს ისეთი, რომელიც მთელ სასიცოცხლო ძალას ჰპოულობს იქ, სადაც პრინციპიალობის ნასახიც არ არის. ასეთია ყველგან და ყოველთვის ყოველნაირი გარდამავალი ხანა, ხანა უდროობისა, პოლიტიკური იდეალებისადმი მისწრაფების დაცემისა.

გადაავლეთ თვალი ზოგიერთ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, ზემოთქმულის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს ეს ჟურნალ-გაზეთები გვაძლევენ. იქ არამც თუ ცეცხლს აძლევენ ძველს პრინციპებსა და იდეალებს, საზოგადოდ სამასხაროდ გაუხდიათ თვით პრინციპიალობა და იდეიურობა. ირონიით იხსენიებენ იმათ, ვისაც საჭიროდ მიაჩნია ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ გაიხადოს არა ინსტინქტი, ხშირად ბნელიც, არა იმპულსი, არამედ იდეა, პრინციპი. ეს დამახასიათებელია არა მხოლოდ მათი უპრინციპობისა, დამახასიათებელია იმისაც, რომ ჩვენ განვიცდით უკიდურეს დაცემის, ზნეობრივი და გონებრივი ატროფიის ხანას, როდესაც ყოველს გამვლელს-გამომვლელს, სამწერლო ასპარეზზე დროებით და შემთხვევით ამოტივტივებულ ადამიანს შეუძლიან გულში ხელი იკრას, პითიასავით გაუგებარი ფრაზები ისროლოს და ზოგიერთ, პოლიტიკურად სრულიად მოუმწიფელ წრეში, პუბლიცისტის სახელიც დაიმსახუროს.

მხოლოდ საზოგადო დაცემით უნდა აიხსნას, რომ ჩვენს საზოგადოებაში სრულიად დაიკარგა უნარი ზნეობრივი პასუხისმგებლობისა. ის, ვინც გუშინ ქვეყნის ბოროტ გენიად იყო მიჩნეული, დღეს შეიძლება წინასწარმეტყველად გამოაცხადონ და ის, ვის წინაშეც ჯერ ისევ გუშინ მოწიწებით მუხლს იდრეკდნენ, უკეთეს შემთხვევაში უმეცართა სიაში ჩარიცხონ.

ასეთი ყოფილა ყოველი გარდამავალი ხანა. ასეთია იგი ჩვენშიაც. იგი ოდნავადაც ვერ შეარყევს იმ საფუძველს, რომელზედაც აშენდა შეგნებული საქმიანობა მთელი თაობისა და რომელიც ჯერ კიდევ მანათობელ ვარსკვლავად იქნება გადაქცეული იმათთვის, ვისთვისაც სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობა და მისი ყოველ-მხრივი განახლება ცხოვრების მიზნად და საგნად გადაქცეულა.

ქართული პრესა

„სიმართლის ხმა"-ს რომ ვკითხულობთ, მოლა ნასრედინის ამბავი გვაგონდება. არიქათ, ფლავს არიგებენო, დაიძახა მოლამ და, ყველა რომ ფლავის მისაღებად გაიქცა, თითონაც დაიჯერა თავისი ტყუილი, წამოავლო ხონჩას ხელი და ფლავის მისაღებად გაიქცა. „სიმართლის ხმა"-საც ასე ემართება. შესთხზეს ტყუილი, თითონვე დაიჯერეს ეს ტყუილი და ჰგონია, სხვასაც დააჯერებს.

„მათ ყოველ მხრიდან უმტკიცებენ, რომ ფედერალისტური პარტიის შედგენილობა და პოლიტიკა ზომიერია და რაკი დროება გამოიცვალა, პარტიის დიდმა უმრავლესობამ „სოციალისტური" დროშა საზიანოდ მიიჩნია და ახალ ნავთსაყუდელს ეძებსო".

სწორედ მოლას ამბავია! რომელია ეს „დიდი უმრავლესობა", ალაჰმა უწყის. თუ „თემი" და „კლდე" ჰყავს მხედველობაში, ბავშმაც კი იცის, რომ ამ ორგანოებს არაფერი საერთო არა აქვს ზემოხსენებულ მიმართულებასთან. ჩვენში იყვნენ და ეხლაც არიან ისეთები, რომელნიც სხვა პოლიტიკურ მიმართულებას მისდევდნენ. თუ ასეთები ეხლა ცალკე რამ მიმართულებას შეჰქმნიან, ეს იმას არა ნიშნავს, რომ თვით ჯგუფის „დიდმა უმრავლესობამ" აზრი გამოიცვალა. ასეთი რამ მხოლოდ იმას შეუძლიან მოეჩვენოს, რომელსაც ნაყოფი თავისი დაავადებული ფანტაზიისა და ბოროტი განზრახვა ჭეშმარიტებად ეჩვენება.

„როცა დიფერენციაცია დამთავრდება და „პარტია გაიწმინდება", ვინ უნდა შერჩეს თქვენს ჯგუფს", კითხულობს „სიმართლის ხმა". დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ჯგუფს არავითარი განწმენდა არ ესაჭიროება. მისთვის საჭიროა, ჩამოშორდნენ ისეთები, რომელთა არც აზროვნება და არც მისწრაფება ჯგუფის მისწრაფებას არ შეეფერება. მისთვის საჭიროა ჩამოშორება ისეთი „კეთილს მყოფელებისა", რანაირიც „თემი" ბრძანდება. სხვა ფრივ კი თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ.

„ნუ თუ გგონიათ, რომ თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია თქვენი „სოციალისტური" აბდა-უბდით დაკმაყოფილდება?!".

პათეტიკურად გვეკითხება „სიმართლის ხმა". მოგახსენებთ: არ დაკმაყოფილდება და არც გვინდა დაკმაყოფილდეს. აკი არც კმაყოფილდება. დაე ეგრე იყოს. ამ გარემოებამ მხოლოდ ის შეუძლიან შეაშინოს, ვინც თავის მიზნად თავად-აზნაურობისა და ბურჟუაზიის სამსახურს ისახავს. მაგრამ ვისაც თავისი გულის-ყური მიუპყრია ჩვენი გაძვალტყავებული გლეხობისკენ, ვინც საზოგადოდ მშრომელ ხალხში ეძებს სასიცოცხლო ძალას, იმას უკბილო ღრენა ზოგიერთი ვაჟბატონებისა ვერაფერს დააკლებს.

საქართველოს მომავალი ქართველმა დემოკრატიამ უნდა შექმნას და ზოგიერთების ისტერიული ღრიანცელი მხოლოდ ხელს შეუწყობს ქართველ ხალხს ჭეშმარიტების პოვნაში.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ თვის 16-ს ორმოცდა ათი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ბატონყმობა მოისპო პოლონეთის გუბერნიებში. პოლონელ გლეხებს შედარებით კარგი ბედი ეწვიათ. შიდა რუსეთში გლეხების განთავისუფლების დროს არასოდეს არ ივიწყებდნენ მებატონეების ინტერესებს ბალტიის მხარეში გლეხები გაანთავისუფლეს უმიწოდ ჩვენშიაც დიდის ყურადღებით მოეპყრნენ თავად-აზნაურობის მდგომარეობას. სულ სხვა იყო პოლონეთში—იქ გლეხების ცხოვრება განთავისუფლების შემდეგ უკეთესად მოეწყო, ვიდრე დანარჩენ რუსეთში. ესეთი შედარებითი გულკეთილობა პოლონელ გლეხებისადმი გამოწვეული იყო პოლიტიკურის მოსაზრებით. 1863 წელს პოლონეთში დიდი აჯანყება მოხდა, რომელიც ცეცხლითა და მახვილითა ჩააქრო რუსის ჯარმა. ამიტომ მთავრობას უნდოდა მოემადლიერებია ახლად განთავისუფლებული გლეხები და უფრო გაეღრმავებია და გაეძლიერებია განხეთქილება თავად-აზნაურობისა და გლეხებს შორის. მთავრობისთვის საჭირო იყო პოლონელ ერის უმრავლესობის—გლეხობის—თანაგრძნობის და ნდობის მოპოვება და საგლეხო რეფორმებით თავის მიზანს მიაღწია. პოლონელი გლეხი დაუპირდაპირა პოლონელს აზნაურს და მხარი დაუჭირა პირველის ინტერესებს, ამით მოიპოვა, დროებით მაინც, თავის პოლიტიკის ქომაგი და მეგობარი.

უნდა გვახსოვდეს, რომ პოლონეთში საზოგადოდ მუდამ გამწვავებული იყო გლეხებსა და ბატონებს შორის დამოკიდებულება. გლეხები მეტად დაბეჩავებულნი იყვნენ, დაჩაგრულნი, გაღატაკებულნი. ისინი მონაწილეობას ვერ იღებდენ საერო ცხოვრებაში, არ ჰქონდათ შეგნებული ეროვნული არსებობის მნიშვნელობა. ეს იყო ტრაგედია პოლონეთის ისტორიისა. ამას კარგად ჰგრძნობდნენ ერის საუკეთესო შვილები და რამდენჯერმე გადაჭრით მოითხოვეს გლეხების განთავისუფლება გასული საუკუნის ოცდაათიან და ორმოციან წლებში, მაგრამ მათი მისწრაფება ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა თავად-აზნაურობის ვიწრო წოდებრივის წინააღმდეგობის წყალობით. წოდებრივი განხეთქილებით აიხსნება, უპირველესად, პოლონელების აჯანყების დამარცხება 1830 და 1863 წლებში...

მაგრამ რუსეთის მთავრობა მოსტყუვდა: პოლონელ გლეხების განთავისუფლებამ და მათი მდგომარეობის გაუმჯობესობამ ისინი კი არ მოსწყვიტა ეროვნულს ცხოვრებას საბოლოოდ, არამედ უფრო დაახლოვა შემდეგ და დღეს პოლონელი გლეხები საუკეთესო დამცველები არიან პოლონეთის თვითარსებობისა. გაზეთი „რეჩი" სწერს პოლონელ გლეხების შესახებ:

„1860 წელს გლეხები ფლობდნენ მხოლოდ ერთს მეხუთედს კერძო მამულებისას, დღეს კი გლეხების საკუთრებას შეადგენს პოლონეთის მიწის ნახევარი. თუ ამას მივუმატებთ წვრილ მესაკუთრეებს არა-გლეხებს, მაშინ მსხვილ მემამულეებს ხელში რჩება მხოლოდ ერთი მესამედი მიწისა.

ასე შეიქმნა პოლონეთის გლეხური დემოკრატია. გლეხობა რაკი მოღონიერდა და განვითარდა ქონებრივად, უფრო შეგნებული გახდა ეროვნულად და მოქალაქობრივად. უკვე სამუდამოდ დაიმარხა ის დრო, როცა რუსის მოხელეს იქით პოლონელი გლეხი თავის სამშობლოსა და ერს ვერა ხედავდა"...

დღეს პოლონეთის გლეხობა არა თუ არ გაურბის ეროვნულს საქმეს, პირიქით ყველგან მედგრად იცავს ეროვნულს უფლებებს და ის გლეხებიც, რომლებიც წმინდა კლასობრივ ნიადაგზე სდგანან, მთელის თავის მოღვაწეობით წინააღმდეგნი არიან მთავრობის პოლიტიკისა.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგ. სააგენტო).

19 თებერვლის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

შევჩენკოს იუბილეის აკრძალვის გამო შეტანილ შეკითხვათა განხილვა გრძელდება.

ძიუბინსკი. უკრაინული მოძრაობა ეროვნულ შეგნების ბუნებრივი გამოხატულებაა. შრომის ჯგუფი ყოველთვის დაიცავს უკრაინულ ერის კულტურულ განვითარებისათვის ეროვნულ განათლების საჭიროებას. როგორც უკრაინისათვის, აგრეთვე სხვა ოლქთა და ეროვნებათათვის ავტონომიაა საჭირო; ავტონომია იქნება საუკეთესო უზრუნველ-ყოფა ეროვნულ ცხოვრების თავისუფალ განვითარებისა და თავადები ერის საზოგადოებრივ წინმსვლელობისა.

მილიუკოვი. კიევის ნაციონალისტთა კლუბის სააგიტაციო მოქმედებამ საბაბი მისცა მთავრობას შევჩენკოს დღესასწაული აეკრძალა. კიეველმა ნაციონალისტებმა ბევრი რამ ვერ გაიგეს უკრაინულ მოძრაობისა: ისინი ერთმანეთში ურევენ უკრაინულ ერის ცალკე ერად აღიარებას საკუთარის ენით, უკრაინის ავტონომიის მოთხოვნილებასაც და უკრაინის სრულ გამოყოფვას რუსეთის იმპერიიდან და რუსეთის მთლიანობის დარღვევას. ერთის მხრით სდგას სავენკო თვის ბრალდებით სეპარატიზმში, მეორე მხრით მარქსისტული ინტელიგენცია, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მაზეპის მიმდევარნი შეპყრობილნი არიან თანამედროვე მოსკოვიფილობით. მილიუკოვი უპასუხებს მათ, ვინც უკრაინელებს სეპერატიზმსა ჰსწამებს და აღნიშნავს, რომ სულ უუკიდურესი მიმართულებანი აღიარებენ ავტონომიასა და ფედერაციას რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში; მაგრამ ფედერაციასა და ავტონომიაზე ისინი ლაპარაკობენ, როგორც მომავალ სახელმწიფოებრივ ცხოვრების იდეაზე, უკრაინელების ეხლანდელი პროგრამა-მინიმუმი კი ითხოვს უკრაინელ ენის უფლებას, უკრაინელ ბეჭვდითი სიტყვის შეზღუდვის გაუქმებას; ამ პროგრამას ვერ დავარქმევთ რადიკალურ პროგრამას. ამ მოთხოვნილებაში რაიმე რევოლიუციონურის დანახვა შეუძლიანთ მხოლოდ მათ, ვინც უკრაინელ ერის არსებობას უარჰყოფენ. ეხლა სეპერატული მოძრაობა არ არსებობს, არის მხოლოდ ჩანასახი ამ მოძრაობისა, რის განვითარებაც შეიძლება. სწორედ ისინი, ვინც რუსეთის ცრუ-ნაციონალურის იდეალებით ჰხელმძღვანელობენ და სდევნიან უკრაინელ ერს, სწორედ ისინი ჰმოქმედებენ ავსტრიის სასარგებლოდ. შევჩენკოს დღესასწაულს გადაიხდიან, მაგრამ თქვენ მეკითხებით: სადა გსურთ იყვეს დღესასწაული: იქ საცა უკრაინელები 30 მილიონს შეადგენენ, თუ იქ, საცა მხოლოდ 5 მილიონია; კიევში, პოლტავაში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში და სხვ., თუ ლვოვში?

ტულიაკოვი. შევჩენკომ ნათლადა და გარკვევით უთხრა თვის ერს: „თუ არ გსურს უძლურს გცემდნენ და გათახსირებდნენ, უნდა შეიქმნა ძლიერი და ძლევამოსილიო". ამას უკრაინული ერი მაშინ მიაღწევს, როდესაც იგი სოც.-დემოკ. დროშის ქვეშ შეერთდებიან.

სავენკო სცდილობს საბუთებით დაამტკიცოს, რომ უკრაინული მოძრაობა საფრთხეს უმზადებს რუსეთის იმპერიის მთლიანობას. კიეველ ნაციონალისტებმა ერთი თვის წინად გამოსთქვეს აზრი, რომ ლირიკოს პოეტის დღესასწაულის გადახდა ბუნებრივი მისწრაფებაა უკრაინელებისა მაგრამ ნაციონალისტები აფრთხილებდნენ, რომ ეს დღესასწაული პოლიტიკურ დემონსტრაციად არ გადაიქცესო. მთავრობაც სწორედ ამ პოზიციაზე სდგას. სავენკოს აზრით, უკრაინული მოძრაობა სეპარატისტულია. მილიუკოვი ამბობს, რომ სავენკომ ერთმანეთში აურია უკრაინულ ერის ცალკე ერად აღიარებაც და ეროვნულ თვით გამორკვევის საკითხიცაო. მაგრამ, განა შესაძლებელია ამ ორის ცნების შორის საზღვრის დადება! ჩვენ ხომ იმ დროს ვცხოვრებთ, როდესაც კადეტთა ფრაქცია და მისი ძმანი მოითხოვენ ყველა ეროვნებისათვის თვით გამორკვევის თავისუფლებას, გარდა რუსის ერისა! (ტაში მარჯვნით), რასაკვირველია, თუ ვაღიარებთ, რომ ესა თუ ის ჯგუფი დამოუკიდებელ ერს წარმოადგენენ, მაშინ მისი შედეგიც აშკარა იქნება. ამისაკენ არის მიმართული მთლად უკრაინული მოძრაობა. ეხლა უკრაინელები ისე გულახდილნი და გულწრფელნი არ არიან, როგორც პირველ სათათბიროს დროს და ლაპარაკობენ მხოლოდ ავტონომიასა და ფედერაციაზე. განაპირა ქვეყნების საკითხში ყველაზე საშინელი უკრაინის საკითხია. ეს არა რუსთა საკითხი არ არის, რადგანაც ჩვენ მალოროსები, უკრაინელად არა ვთვლით თავს, ჩვენ წმინდა წყლის რუსები ვართ (ტაში მარჯვნივ).

შემდეგი სხდომა 21 თებერ. დანიშნული.

სახელმწიფო საბჭო

აკიმოვი თავმჯდომარეობს. საფინანსო კომისიის მოხსენების მიხედვით საბჭომ მიიღო ხუთი კანონპროექტი, სხვათა შორის, 1913 წლის დამატებითი გაუწერელი გადასახადების სამმართველოს სესხის მიცემისა და სახაზინო არაყის გაყიდვისა.

საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიას წინასწარ განსახილველად გადაეცა კანონ-პროექტები: ვაჭრობა-მრეწველობის ერთი ხელიდან მეორეში გადასვლის; იმ დადგენილებათა შეცვლისა, რომელიც ეხება ვალების გასტუმრების თავიდან ასაცილებლად მოხდენილ ხელ-შეკრულებათა უკანონოდ აღიარებას.

შემდეგ გაგრძელდა კამათი ვაჭრობა-მრეწველობის მოსამსახურეთა დაქირავების შესახებ. წარსულ კრებაზე დაწყებული სიტყვას ათავებს **კოვალევსკი.** იგი უპასუხებს წინა მოლაპარაკეთ, რომელნიც თავიანთ მოსაზრებებს უცხოეთის სახელმწიფოთა პრეცენდენტებზე ამყარებდნენ. იგი მიჰმართავს მემარჯვენეებს: ყველა იქითკენ უნდა მიისწრაფოდეს, რომ თავიდან აცდინოს შეტაკება და უთანხმოება. ეს უთანხმოება ხშირად ხდება ხოლმე ისეთ კანონების უქონლობის გამო, რომელიც აგვაცდენდა ასეთს უთანხმოებასაო. შემდეგ ეხება დურნოვოსა და გრაფ ბობრინსკის, რომელთა აზრითაც, კანონპროექტი საჭირო არ არის. კავალევსკი ცხარე პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ მოსამსახურეებს „ბრბო"-დ იხსენიებენ. იგი აღნიშნავს, რომ ნოქრებისა და დამქირავებელთა შორის დამოკიდებულების მოწესრიგების საკითხი თვით ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი; კანონ-პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მსხვილ ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლებმა; შემდეგ განიხილეს ჯერ სათათბირომ შემდეგ საბჭომ; ორივე პალატის კომისიაში, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, არც ერთი ნოქარი არ მოიძებნება. დასასრულ კავალევსკი ამბობს: ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განმარტებით ამ კანონ-პროექტში დაცულია ინტერესები როგორც დამქირავებელთა ისე ნოქრებისა. მოლაპარაკე მოითხოვს, საბჭომ კანონპროექტი მიიღოს და მუხლობრივს განხილვას შეუდგეს.

გრაფ ბობრინსკის წინადადება შეაქვს მუხლობრივ განუხილველად უარჰყონ კანონპროექტი.

ავდაკოვი კანონპროექტის მუხლობრივ განხილვის მომხრეა.

რაიკევიჩის აზრით ნოქრების მდგომარეობა რუსეთში არ მოითხოვს საჩქარო ზომებს. უკეთესია ჯერ-ჯერობით ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას მიექცეს ყურადღება.

ზუბაშოვი. არ ეთანხმება მას და ამბობს, სწორედ სახელმწიფოს მოვალეობაა თავის იდვას მშრომელ კლასებსა და დამქირავებელთა შორის დამოკიდებულებათა მოწესრიგება. გაცილებით სამართლიანი იქნება თავის დროზე მოწესრიგდეს ეს დამოკიდებულებანი, ვიდრე მიანდოს მათი მოწესრიგება მუდმივ უთანხმოებას.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი უპასუხებს ყველას. მინისტრმა აღნიშნა, რომ კანონ-პროექტი უსათუოდ აადვილებს დამოკიდებულებას მოსამსახურეთა და დამქირავებელთა შორის. მინისტრი დარწმუნებულია, თუ კანონ-პროექტს მიიღებენ, ამას მხოლოდ სასურველი შედეგი მოჰყვება. დასასრულ მინისტრი შესაძლოდ სცნობს ზოგიერთ შესწორებათა მიღებას მუხლობრივ განხილვის დროს და მიმართავს საბჭოს წევრებს. „ნუ ჩაშლით საქმეს, ძლიერ გულმოდგინედ შესრულებულს, რომელმაც მოითხოვა დიდი ენერგია, რომელმაც მოითხოვა დიდი შრომა. ნუ ჩაფუშავთ ასე სწრაფად და სანამ გადაჭრილ სიტყვას იტყოდეთ, გადადით მუხლობრივ განხილვაზე. კენჭის ყრით 72 ხმით 64-ს წინააღმდეგ კანონ-პროექტი უარყოფილი იქნა უმეტესობით.

შემდეგი კრება 26 თებერვალს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

მადლობა. ამას წინად ტფ. ხელოსანთა საზოგადოებამ საგანგებო ადრესი მიართვა უხვ ქველ-მოქმედთ ძმ. ზუბალაშვილებს, რომელთა ხარჯითაც ავლაბარში აგებულ იქმნა საბავშვო საავადმყოფო. ადრესში საზოგადოება ძმ. ზუბალაშვილებს მადლობას უცხადებდა იმის გამო, რომ მათ ქალაქის ულარიბეს მცხოვრებთ შეძლება მისცეს ხელმისაწდომ ფასში რიგიანად წამლობისა. ამ ჟამად ხელოსანთა მამასახლისმა ი. ნ. ბარსეგოვმა ლ. კ. ზუბალაშვილისგან წერილი მიიღო, რომელშიაც ადრესის მირთმევისათვის ძმებისა პეტრე და იაკობის და თავის მხრით მადლობას უცხადებს სახელოსნო საზოგადოების ყველა წევრს.

საქიმიო ქარხანა. ტფილისში შესდგა ამხანაგობა სახელად „გაზი", რომელიც ტფილისში საქიმიო ქარხნის დაარსებას აპირობს. ამხანაგობას თანხად აქვს 200,000 მან.

საყინულეთა საქმის კათედრა და ლაბორატორია. საყინულეთა საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრების ბიურომ თანახმად ამ კრების დადგენილებისა, შუამდგომლობა აღძრა, რათა მომავალ პოლიტეხნიკუმში საყინულეთა საქმის კათედრა და ლაბორატორია დაარსდეს.

სამელიორაციო კრების მომწვევ ბიუროს კრება 19 თებერვალს მოხდა. ბიურომ შეიმუშავა კრების დებულება, ხოლო პროგრამის შედგენა შემდეგ კრებისთვის გადასდო. მომავალ კრებას დაერქმევა კავკასიის პირველი სამელიორაციო კრება. კრება მოწვეულ იქმნება ტფილისში 5-დან 10 სექტემბრამდე. ბიურომ კრების მოსაწვევი ხარჯი 4,000 მან. ივარაუდა. ბიურომ დაადგინა, თვეში ერთხელ ბიულეტენი გამოსცეს ინჟინერ ა. ესენის რედაქტორობით.

ამქრების უსტაბაშად გუბერნატორმა დაამტკიცა: მღებრების ამქრისად ვ. ვ. პეტროსოვი, ევროპიულ ფეხსაცმელების მკერავთა მ. აიუთინიანცი, დაბღებისა ა. აფინოვი, წყალსადენისა და ლამპებისა ს. ჯანოიანცი, მეთასმეებისა თ. კარუნოვი, მეტყავეებისა მ. სომხიევი, სპარსულ მელავაშეებისა ა. მამედოვი, აზიურ მეშალეებისა თ. ჩლაიძე, ქვაბეშუმეებისა ხ. კაფიევი, მეთუთუნეებისა ა. ნესტრუევი, ქვის მთელთა ი. ზუბიაშვილი, ოქრომჭედლებისა ს. არჯევანიძე, დურგლებისა ვ. ვაშაკიძე, ძველის ტანისამოსის მყიდველ-გამყიდავთა ხ. ბახჩიიანცი და დურგლებისა მ. კაპანაძე.

ს. იაბლონოვსკის ლექციებზე ბილეთების გაყიდვა დაიწყო.

ნაძალადევში. დაარსდა სისტემატიური საღამოს კურსები მუშებისათვის **ზოტეს** სახლში, სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით შემდეგი დღის წესრიგით: შაბათი, სამშაბათი, ხუთშაბათი. ამიტომ მომწყობი კომისია სთხოვს კურსებით დაინტერესებულ მუშებს,—მოვიდნენ საღამოს ექვს საათიდან და ჩაეწერონ მსმენელთა რიცხვში. პირველი ლექცია იქნება შაბათს 22 თებერვალს, რომელიც იწყება საღამოს 6 საათიდან. ლექციები იქნება შემდეგ თემებზე:—კულტურის ისტორიიდან, კანონმდებლობაზე, პოლიტიკური ეკონომიიდან, გეოგრაფიიდან, მსოფლიო ისტორიიდან, მსოფლიო ლიტერატურიდან, ჰიგიენა-ფიზიოლოგიიდან, ასტრონომიიდან, ფიზიკო-მატემატიკიდან და სხვა.

კახეთის რკინის გზის ერთ-ერთს იჯარადარს ქ. დეკანოსიძეს მეტად ემდურიან მომუშავენი. ამ დეკანოსიძეს აღებული ჰქონდა რკინა-ბეტონის ბოგირების გაკეთება ნავთლუღიდან კაკაბეთამდე და ზოგიერთს მომუშავეს ანგარიში არ გაუსწორა, ფული არ მისცა და ჩხუბიც აუტეხა.

საზოგადოებანი და კრებები

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება 19 თებერვალს მოხდა. საბჭომ განიხილა საკითხი გორის მაზრის სოფ. ტყვიავში ბ-ნ გაბუნიასაგან მიწის შეძენის შესახებ. ბ-ნ გაბუნიას ტყვიავში ჰქონია 20 დესეტინა მიწა, რომელსაც ჰყიდის. ამ მიწის შეძენა ქართულ სამეურნეო საზოგადოებას უნდა ხეხილის სანერგის გასაშენებლად. საბჭომ დაადგინა, დაავალოს თავის წევრს ვ. გ. მელიას, რათა მემამულე ი. ფურცელაძესთან და ქართლის რაიონის აგრონომ ე. კარბელაშვილთან ერთად დაათვალიეროს ზემო ხსენებული მიწა და ყოველმხრივ გამოარკვიოს მისი ღირსება-ნაკლი.

ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოების 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი უკვე შედგენილია. ხარჯთაღრიცხვა ნავარაუდევია 32,000 მან. ხარჯთაღრიცხვის პროექტის განხილვას საზოგადოების საბჭო 19 თებერვლიდან შეუდგა.

22 თებერვალს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება ქართულ კულტურის მოყვარულთა **საზოგადოების მორიგი** კრება, რომელზედაც შალვა ამირაჯიბი წაიკითხავს მოხსენებას: „ჩვენი კულტურული საზოგადოებათა საქმიანობის შესახებ". მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ქალაქის საბჭოს კომისიების კრებები დანიშნულია: სადეფიციტოსი—25 თებერვალს, ხოლო ქუჩებისათვის სახელის დამრქმევ კომისიისა— 22 თებერვლისთვის.

კავკასიის საიურიდიო საზოგადოების კრება დანიშნულია დღეისთვის, საღამოს 8 საათზე, ოლქის სასამართლოს შენობაში. კრება მოისმენს გენ.-მაიორ ა. ვ. ანდრეევის მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საერთაშორისო ენა „ესპერანტო" და მისი მნიშვნელობა საიურიდიო საქმეებში.

მშობელთა წრეების ცენტრალურ საბჭოს კრება 19 თებერვალს მოხდა. კრებას დაესწრო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი. კრებამ განიხილა საკითხი მოსწავლეთათვის საზაფხულო სადგომის მოწყობის შესახებ. კამათის შემდეგ, რომელშიაც მზრუნველმაც მიიღო მონაწილეობა, კრებამ აღიარა, რომ ფრიად სასურველია, მოსწავლეთათვის შეიძინოს ადგილი, სადაც კარვები უნდა მოეწყოს. რადგანაც ეს საქმე ჩვენში ახალი ნაბიჯია და თანაც დიდს ხარჯს მოითხოვს, კრებამ დაადგინა, პირველ ხანად საცდელად ტფილისის მახლობლად მოაწყოს სადგომი მხოლოდ 40—50 მოსწავლისათვის. დასასრულ კრებამ ამოირჩია 10 კაცი და დაავალა, დაწვრილებით შეიმუშაოს და რაც შეიძლება ჩქარა წარმოუდგინოს საბჭოს მოსწავლეთა სადგომის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

სხ. ერთა ცხოვრება

ეჩმიაძინის აკადემია. ამ დღეებში ჩავიდა ეჩმიაძინში ს. ტიგრანიანი, რომელიც უნდათ მოიწვიონ აკადემიის რექტორად, და მის მონაწილეობით გაიმართა თათბირი. ტიგრანიანმა მოითხოვა, რომ აკადემია შეეკრას მას ხუთი წლის ვადით და წელიწადში მისცეს 4000 მანეთი. გარდა ამისა, ტიგრანიანმა განაცხადა, რომ საჭირო არაა ღვთისმეტყველების და სომხური ენის და ისტორიის ფაკულტეტების დაარსება.

სალიტერატურო გასამართლება. დონის როსტოვში განუზრახავთ შანტის პიესის „ძველი ღმერთების" გმირების გასამართლება.

სასამართლო

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესიამ ზუგდიდში დაიწყო საქმის გარჩევა ბრწყინვალე თავად მიხგრელსკის რწმუნებულის კანკიას მკვლელობის შესახებ. პასუხისგებაში მიცემულია მაზრის თავად-აზნაურობის ყოფილი წინამძღოლი ვლადიმერ ალშიბაია და ნაფიც ვექილის თანაშემწე ჯაფარიძე. მოწმეები ასზე მეტია.

ქუთაისი

ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეკლარის ქვის წარმოება თვით ქალაქმა იკისროს.

გაზ. „ერის" რედაქციამ მიიღო მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსაგან 40 მანეთი ქუთ. გუბერნიის დამშეულთა სასარგებლოთ. ფული გადაეცა წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას დანიშნულებისამებრ მოსახმარად.

სოფ. კვაუთი (სამეგრ.) მცხოვრებთ უკვე მოუვიდათ ქუთაისის გუბერნატორისაგან დამტკიცებული მომხმარებელ საზოგადოების წესდება „განათლების" სახელწოდებით. როგორც გადმოგვცემენ, ინიციატორები უკვე შესდგომიან საქმეს.

გორდი. კვლავ დაიწყება შავი ქვის მუშაობა იმ ადგილებში, საიდანაც შვიდის წლის წინად დამუშავებული ქვა ჩაუტანიათ სადგურ სამტრედიაში ერთი ფირმისათვის. ეს საქმე აუმოძრავებიათ იმ იმედით, რომ მთავრობიდან გადაწყვეტილია რკინის გზის შტოს გამოყვანა ამ მოკლე ხანში ხონამდე.

ვაკეჯვარი (ოზურ. მაზრა). სკოლის მათთველი ფ. ქიქოძე ასავალიერებდა ბრაუნინგის სისტემის რევოლვერს, რევოლვერი უცაბედად გავარდა. ტყვია მოხვდა ქიქოძის ცოლს ლოყაში. ქიქოძეს ეგონა, რომ მოკლა ცოლი, ამიტომ მან რევოლვერი დაიცა. 15 თებერვალს ქიქოძე გარდაიცვალა საავადმყოფოში, ცოლიც საშიშარ მდგომარეობაშია.

ართვინი

15 თებერვალს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ართვინიდან წარუდგა დეპუტაცია. ითხოვეს რეალურ სასწავლებლის დაარსება, რისთვისაც ქალაქი 30.000 მანეთს გადასდებს.

გორი

როგორც მოგეხსენებათ, განსვენებულ იაკობ გოგებაშვილმა ანდერძი დასტოვა, რომლითაც სკოლა უნდა გახსნილიყო მის სამშობლო სოფელ ვარიანში (გორ. მაზრ.) ანდერძი დღემდე დაუმტკიცებელი იყო და, რასაკვირველია, მის სისრულეში მოყვანაც შეუძლებელი იყო. დღეს კი წ.-კ. საზოგადოებას შეძლება მიეცა სისრულეში მოიყვანოს განსვენებულ პედაგოგის სურვილი და, როგორც ვიცით, კომისიის გაგზავნასაც აპირებიან ვარიანში ადგილის დასათვალიერებლად. ვარიანელები აპირებენ წ.-კ. საზოგადოებასთან დეპუტაციის გაგზავნასაც. იმედია წ. კ. საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს გლეხებს სურვილს და სკოლის გახსნის საქმეს დააჩქარებს.

ყეენობის აღდგენას სიხარულით შეეგება ხალხი გორში. რადგან შაბათს ვერ მოასწრეს, ყეენობა გაიმართათ ორშაბათს, 17 თებერვალს. ცხენზე შესვათ ყეენი და დიდი სიცილ-ყიჟინით გაატარეს ტფილისის ქუჩაზე, მაგრამ ბოქაულის თანაშემწემ გადმოაგდო ცხენიდან ყეენი და ხალხი დაიშალა.

იანვრიდან გორს ახალი პირველ-დაწყებითი საქალაქო სკოლა მოემატა. მასწავლებლად დაინიშნა ადგილობრივ საოსტატო სემინარიაში კურს დამთავრებული დოლიაშვილი. სწავლა სკოლაში უკვე სწარმოებს.

სოფლად.

ყულამშიი (ბორჩალოს მაზრა). 14 თებერვალს ღამით ადგილობრივი სკოლის გამგე გრ. მაჭავარიანის შინ არ ყოფნის დროს ბოროტ-განზრახველებმა გასტეხეს მისი ოთახის ფანჯრები, წაიღეს თოფი ღირებული 28 მ. და სხვა წვრიმალი ნივთები. ადგილობრივმა ბოქაულმა მაძებარ ძაღლის დახმარებით დამნაშავენი აღმოაჩინა, რომლებიც კიდევაც გამოტყდნენ თავის დანაშაულობაში.

შეცდომის გასწორება. „სახ. გაზ." 1117 №-ში დაბეჭდილია მადლობის წერილი კობულეთიდან, სადაც სამკითხველოს გამგე უსუფ ეფენდი კაიკაციშვილი ბიბლიოთეკის სასარგებლოდ შემომწირველთ მადლობას უხდის. იქ შეცდომითაა დაბეჭდილი, ც.ნს ივახე ხაილის ძე **„საგინაშვილს"** უნდა იყოს **„სვანიშვილს"** და სხვა.

გუშინდელ ნომერში სათათბიროს ანგარიშში, მესამე სვეტზე ქვემოდან მეთერთმეტე და მეთექვსმეტე სტრიქონში დაბეჭდილია **ქვორუმი;** უნდა იყოს: **ვოტუმი.**

გუშინდელს ნომერში მოთავსებული ქვემო-ხვითის სკოლის სახელოსნოს სასარგებლოდ შემომწირველთა სია, სადაც გამოგვრჩენია კნ. მარიამ გიორგის ასული მაჩაბლისა, რომელსაც შეუწირავს 5 მანეთი.

ქუთაისის აბ-ბარში

მოახლოვდა ქუთაისის სააღგილმამულო ბანკის რწმუნებულების არჩევა და აგიტაციაც დაიწყო. ჩვენი ძველი ნაცნობები, ბანკის მოღვაწენი, ბ-ნ დიდიმ ჩიქვაიძე, ონისიმე სვანიძე და სხვა ამ გვარნი, უკვე ეწევიან შრომას, რომ თავისი ხალხი გაიყვანონ და სამაგიეროდ გადაუხადონ იმათ, ვინც ისინი გადააყენა ბანკიდან. ამ აგიტაციას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბ-ნ დავით ნიჟარაძეც, თავად-აზნაურთა წინამძღოლი, შეუდგა საიდუმლო მუშაობას თავის ყურ-მოჭრილი ყმების გასაყვანად რწმუნებულათა. თუ დავეჭყარებით თავ. ნიჟარაძის დეკლარაციას, რომ იგი ინტელიგენციასთან ერთად და მასთან შეთანხმებით იმოქმედებს, ეს გამოსვლა არ უნდა იყოს შესაფერი ბ-ნ ნიჟარაძისათვის, მაგრამ ჩვენ არა გვჯერა, რომ იგი აგიტაციაში ჩაერიოს და სწადდეს კვლავ გაბატონდეს ბანკში, რომლის საქმეები, როგორც გვესმის იმდენად გამოკეთდა, რომ წრეულს 80 ათასზე მეტი წმინდა მოგება აქვსო. ამ „მოგებას" ჩვენ უკვე გადავეჩვიეთ წარსული სამი წლის განმავლობაში, რადგან სამინისტრომ მოსთხოვა ბანკს, რომ ვიდრე იგი ბანკზე დარჩენილ მამულებზე გაღებულ ხარჯს არ გასტუმრებს, მოგება ამ ვალის გასტუმრებას უნდა მოხმარდესო.

ეხლა ბანკს ეს ვალი გაუსტუმრებია და გარეშე ამისა დარჩენილი წმინდა მოგება 80 ათას მანეთზე მეტია.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ თუ ამ მოგებას თავისი პირდაპირი დანიშნულება აქვს—მოზარდი თაობის აღზრდა, ჩვენი ზოგიერთი „მოღვაწე" ამ მოგებას სხვა თვალით უყურებს და ჰგონიათ, რომ იგი სხვა საჭიროებისათვისაც შეიძლება დაიხარჯოს. რა თვისებისა უნდა იყოს ეს საჭიროება ყველა მიხვდება და ამიტომ რწმუნებულთა არჩევის დროს ბანკის მსესხებლებმა იმითი უნდა იხელმძღვანელონ, რომ ბანკის მოგება საზოგადო საჭიროებას მოხმარდეს და არა კერძო პირთა მოთხოვნილებას.

მ—ლი.

ფოთის ელევატორები

„ქურდს ფიცი ერგო და შინ მახარობელი აფრინაო".

ჩვეულებრივი თქმულება.

როგორც „სახალხო გაზეთის" 16 ამ თვის ნომერში მოთავსებული, ფოთის ქალაქის თავის მოადგილის ქოქუას დეპეშიდან დაინახავდა მკითხველი, ფოთის ელევატორები ტეხნიკური მხრით მოიწონა სამინისტროს ტეხნიკურმა განყოფილებამ; მთავრობის გამოგზავნილ ინჟინრების აზრი იმაზე, რომ ვიდრე ელევატორები რამდენიმე თვით არ იქნება გამოცდილი მუშაობაში მისი სიავკარგეზე არ შეიძლება ლაპარაკიო, უყურადღებოდ იქნა დატოვებული და დადგენილ იქმნა,—სრული ანგარიში მიეცეს ამშენებელ საზოგადოებას. ეს ცნობა დეპეშით მიიღო ქალაქის გამგეობამ თავისი წარმომადგენელის (პეტერბურგში) ბ. ტოკარსკისაგან, დეპეშა მიღებისთანავე გაავრცელეს გამგეობამ და მისმა დამქაშებმა, მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს. დიდის რიხითა და დაცინვის კილოთი მიმართვენ ხოლმე ოპოზიციონერ ხმოსნებს: „აი თქვენ ასეთები და ისეთები, ელევატორი ხომ მოიწონეს, ეხლა რაღას აპირობთო" და სხ., ერთ ხმოსანს ბ. ნიკოლაძემ ამ საგანზე კამათის დროს ქალაქის ბულვარში დიდი შეურაცხყოფა მიაყენა.

ნეტავი რა მოხდა? რა უხარიან ამ ვაჟბატონებს; ვინ მოიგო ამ შემთხვევაში, ქალაქმა თუ ამშენებელმა საზოგადოებამ. მოიგო უკანასკნელმა, ვინაიდან გაიტანა 750 ათასი მანეთამდე ფული, რომელიც ძალიან საჭირო იყო მისთვის. ქალაქმა კი იზარალა, ვინაიდან საამშენებლო საზოგადოებას უნდა გადაუხადოს ამოდენა ფული იმ ელევატორების ფასად, რომლებიც გამოსადეგი არ არის.

ვთქვათ, რომ ტეხნიკური მხრით მაგარი გაკეთებულია ელევატორები, განა ეს კმარა, სრულებითაც არა. თავი და თავი დანიშნულება ელევატორებისა ის არის, რომ დღეში ორი ათასი ტონი შავი ქვა გადატვირთოს და ხარჯები მცირე გავიდეს. დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას ელევატორები? ვერ დააკმაყოფილებს. ამის დასამტკიცებელი საბუთი თვით ის გამოცდა არის, რომელიც ქალაქმა მოახდინა 1910 წლის ნოემბერში, როდესაც 2300 ტონი შავი ქვა დაიტვირთა გემზე სამი დღის განმავლობაში, მასთან ხარჯი ერთი-ორად დაჯდა. ვისაც ეს არა სჯერა, მალე დაიჯერებს; როდესაც გამოყიდული ელევატორები მუშაობას დაიწყებენ, მაშინვე გამოჩნდება, რომ ეს ელევატორები ვერ შეასრულებენ თავის დანიშნულებას.

ამ სახით ქალაქმა წააგო და ამშენებელმა საზოგადოებამ მოიგო.

ბ. ნიკოლაძეს და ქალაქის გამგეობასაც ის უხარიან, რომ ამშენებელმა საზოგადოებამ მოიგო. ბ. ნიკოლაძეც და ქოქუაც პირნათლად არიან ამშენებელ საზოგადოებასთან...

ქალაქთან კი.. ქალაქთანაც პირნათლად არიან, თუ კი ეს შეიძლება. ბ.ბ. ნიკოლაძისა და ქოქუას მოხერხებით მოხდა ის, რომ ქალაქის საბჭოში აღძრული ელევატორის საკითხის ოქმების შედგენა და ხელის მოწერა თითქმის ორი თვით დაგვიანდა ერთი მხრით და მეორის მხრით პეტერბურგში ტოკარსკისთან დეპეშებით აჩქარებდნენ სამინისტროში საქმის დაბოლოვებას საამშენებლო საზოგადოების სასარგებლოდ. და აი კიდეც მიაღწიეს მიზანს.—მაგრამ აქ ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი ის არის, რომ ყველა ამას ქალაქის ინტერესების სასარგებლოდ ასაღებენ და ხალხს აჯერებენ, რომ ამითი დიდი სარგებლობა მოუტანეს ქალაქს.

ფოთელი.

ღია წერილი

„კლდის" რედაქციას*)

იმის შემოკითხვაზე, იცნობდით თუ არა ჩვენს განცხადებას მამიჩემის სახლკარის თავად-აზნაურობაზე გადაცემის უარის გამო, მიპასუხებთ, რომ: „მართალია, ჩვენი ჟურნალის წარმომადგენელს სხდომაზე დაუგვიანდა და თქვენი მოხსენება არ მოუსმენია, მაგრამ არამც თუ მოხსენებას, მთელ ამ საკითხის ისტორიას ზედ-მიწევნით იცნობს და თუ ვისთვისმე საჭირო იქნება, თავის დროზე გამოაშკარავებსო".

ჯერ ამაზე არ შეიძლება არ შევნიშნო, რომ ამჟღავნებენ ხოლმე საზოგადოდ დაფარულს რასმე. ამ საქმეში კი დაფარული არაფერია და არა მგონია, რომ თქვენს თანამშრომელს როდისმე დასჭირდეს რისამე გამომჟღავნება, ვინაიდგან მსურველს ყოველთვის შეუძლიან სადეპუტატო საკრებულოში თავიდან-ბოლომდინ გადაიკითხოს.

რაიცა შეეხება იმას, რომ თქვენს წარმომადგენელს თურმე ზედ-მიწევნით სცოდნია ჩემი უარის განცხადების შინაარსიც, მაგრამ ისეთი დასკვნა გამოუყვანია, (არ ვიცი, მთელ კომისიას, თუ მარტო იმას) რომ უარი განაცხადეთ იმიტომ, რომ თავად-აზნაურობას ვერ შეეძლო მიეღო ჩვენი მძიმე პირობანი—ამაზე კი პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ამით ის სიმართლეს ძლიან ჰღალატობს.

ჯერ ერთი, რომ მე უფრო ზედ-მიწევნით ვიცი, რომ ეს მიზეზი არ არის ჩემს განცხადებაში მოხსენებული და მეორეც და უმთავრესად ისა, —ღმერთი ხომ ჰკუით იცნესო,— რომ თუ თავად-აზნაურობას არ შეეძლო მიეღო ჩვენი მძიმე პირობანი, უარიც იქიდან უნდა გამოსულიყო და ეს ჩვენი უარი რიღას მაჩანჩალა უნდა ყოფილიყო,—მე არ მესმის?

მაგრამ, რომ არც თავად-აზნაურობას უთქვამს ჩვენთვის უარი პირობების გამო და საზოგადოდ იმათ სიმძიმე—სიმსუბუქეზე არსად არა ყოფილა სჯაბაასი, ეს ხომ თქვენს თანამშრომელსაც კარგად ეცოდინება.

ეცოდინება ისიც, რომ ჩვენი პირობანი სადეპუტატო საკრებულომ თითქმის ერთხმად მიიღო (ერთის წინააღმდეგ) და განსახილველად და დასამტკიცებლად 1913 წლის 29 თიბათვეს საზოგადო კრებას წარუდგინა.

და აი მაშინ კი მართლა რომ იყო ბევრს რამეზე ლაპარაკი, მხოლოდ პირობებზე კი არა.

თავიდანვე კი ზოგიერთი წევრისაგან ის აზრი წარმოითქვა, რომ საზოგადოდ გადიდებულიყო საკითხი დიმიტრი ყიფიანის სახელის უკვდავყოფისა იმ დრომდე, მანამ დეპ. საკრებულო საგნის ფართოდ დაყენებისთვის ჩვენ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთ არ მოიწვევდა, ვითომ და იმიტომ, რომ მარტო სახლ-კარის შეძენა მცირე რამ იყო დიმიტრი ყიფიანის სახელის პატივსაცემლად და მათ შეერთებული ძალით უნდა კიდევ სხვა გვარი პატივის ცემა გამოეძებნათ.

ბოლოს საკითხი ასეც გადაწყდა და რადგან მომავალ კომისიას, სხვათა შორის, სახლ-კარის შეძენაზედაც დაევალა მსჯელობა, ამიტომ ჩვენ, ცოლ-ქმარი, სულ სხვა მიზეზისა და არა თქვენგან მოყვანილი დასკვნის გამო იძულებულნი გავხდით სახლ-კარის გადაცემის უარი წინ და წინვე გამოგვეცხადებინა.

იმ ჩვენს განცხადებას, უეჭველია, თავად-აზნაურთა მომავალი საზოგადო კრება მოისმენს და მკითხველი საზოგადოებაც იმას მაშინ გაიცნობს. იქიდან კარგად დაინახავს იმ მიზეზებს, რამაც უარი გვათქმევინა და თითონ დასდოს თავისი მსჯავრი. მანამ კი თქვენი ასეთი შემცდარი ბრალდება ეს მეორედ ამავე საგნის შესახებ ჩვენ მიმართ, ვგონებ არ შეეფერება არც თქვენს პატივცემულ ჟურნალს და არც ამ საკითხს. ასეთი საქციელი რამდენადმე მიემგზავსება იმ მიზეზებს, რამაც უარი გვათქმევინა და ეს მხოლოდ უფრო გვამართლებს ჩვენს ასეთ გადაწყვეტილებაში.

ვიმეორებ, ჩვენს უარის თქმაში პირობები მოსატანი არ არის, რადგან გულში თუ ედო ვისმე მათი სიმძიმე, თორემ თქმით კი მათ შესახებ კრებაზე და არც სხვაგან არავის არა უთქვამს რა.

ამ პასუხს ვაძლევ თქვენს ცნობას, რომ თავიდან ავიცილო ვისგანმე წარმოთქმული საყვედური იმის გამო, რომ თავად-აზნაურობას ჰსურდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-კარის შეძენა და ახლობლებმა კი თურმე ხელი არ მოუმართესო.

კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი.

---

*) უცვლელად ვბეჭდავთ ამ წერილს და ამ საგანზე კამათს ვსპობთ ჩვენს გაზეთში. **რედ.**

მოწერილი ამბები

სოფ. ტყიბული. აქ „ილია ჭავჭავაძის" სახელობაზე ბიბლიოთეკა დავაარსეთ. კურთხევა მოხდა 14 თებერვალს. ბიბლიოთეკების მეთვალყურემ ბ-ნმა დოლაბერიძემ მრავალ ხალხის თანადასწრებით სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ აირჩიეს სამზრუნველო კომიტეტს წევრებად [illegible] რეადი, მ. კბილაძე, მ. [illegible] ლი, ი. ფოთხაძე და აკ. ცერ[illegible]ძე. მათ კანდიდატად თ. ცქიფურიშვილი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ამ. ბოქორიშვილი, კლ. არხიპოვი და ალ. ფხაკაძე, მათ კანდიდატად დ. ნემსაძე. ბიბლიოთეკას გამოუწერა ქუთაისის წ. კ. გ. ს—ბის განყოფილებამ ჟურნალი „განათლება", „სასოფლო გაზეთი", „ჯეჯილი" და „ერი". მოსდის გაზეთი „ფიქრიც". გადაწყვეტილია გამოიწერონ შემდეგი გაზეთები და ჟურნალები: „სახალხო გაზეთი", „სიმართლის ხმა", „კლდე", „რუს. სლ.", „ზაკ. რეჩი". „თემი" და სხვა. ბიბლიოთეკას გამგედ არის ბ-ნი ვასილ კაპანაძე, რომელიც გულმოდგინედ ეკიდება საქმეს. სამკითხველო ჯერ-ჯერობით ნაქირავებ შენობაშია მოთავსებული. აზრადა აქვთ საკუთარ შენობის შეძენა.

მიმავალი.

სოფ. ხაშმი. იოანე ნათლიმცემლის მონასტერს, რომელიც ყარაიზე არსებობს, ხაშმზე აქვს სოფლისაგან შეწირული ექვსი დესეტინა ზვარი და მშვენივრად გამართული ექვსთვლიანი წისქვილი. ამ მონასტერთან 1878 წლიდან არსებობდა სამრევლო სკოლა, რომელიც მონასტრის ხარჯით ინახებოდა და მოთავსებული იყო მონასტრის კოშკში. მაკარი არქიმანდრიტის წინამძღვრობის დროს ეს სკოლა მონასტრის გარედ, ძველ შენობაში გადაიტანეს. 1896 წელს მონასტრის წინამძღვრად არქიმანდრიტი ლეონიდე დაინიშნა. მან მონასტრის ხარჯით ააგო მშვენიერი შენობა სკოლისთვის. შემდეგ ამ სკოლაში ხელსაქმის სწავლებაც შემოიღეს. ამისათვის ახლანდელმა წინამძღვარმა საგანგებო მასწავლებელი ქალი მოიწვია მონასტრის ხარჯით. ამ სკოლას შენახვაში ეხმარება დავით გარეჯის მონასტერი 150 მანეთით და სამრევლო სკოლების სამოსწავლო საბჭო 60 მანეთით.

წელს იანვრიდან მასწავლებელი ქალი სხვაგან გადაიყვანეს და მის მაგიერ ჯერ არავინ დაუნიშნავთ. სკოლა დაიკეტა, სწავლა შესწყდა. ხაშმის საზოგადოებამ ამის გამო ითათბირა, შესაფერი განაჩენი დაადგინა, სათანადო მთავრობას წარუდგინა და შუამდგომლობს, რათა სკოლა არ დაკეტონ.

იმედია, პატივცემული წინამძღვარი არქიმანდრიტი ნაზარი შესაფერ ზომებს მიიღებს, რომ ხაშმელ გლეხის ბავშვებს განათლების ბუდე არ დაეხშოთ და აგრეთვე გაზეთის საშუალებით განგვიმარტავს, თუ ასე მოულოდნელად, რამ გამოიწვია სკოლის დაკეტვა.

ხაშმელი გლეხი.

ს. მლეთი (დუშეთის მაზრა). ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება დღეს ეს სოფელი. არც ბიბლიოთეკა, არც სახალხო კითხვები, არც წარმოდგენა, არც წვრილი სესხის ამხანაგობა ამ სოფელში არ მოიპოვება. აქ არსებობს მხოლოდ ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც აგერ 23 წლის წინად დაარსებულა. მართალია, სკოლა აძლევს გლეხს წერა-კითხვის და ანგარიშის ცოდნას, მაგრამ მარტო წერა-კითხვის ცოდნა საკმარისი არ არის. აქაურ გლეხკაცობისთვის ძლიერ საჭიროა ხელოსნობა და მეურნეობა. ამიტომ აუცილებლივ საჭიროა გაიხსნას სკოლასთან სამეურნეო ან სახელოსნო განყოფილება. სკოლას გვერდით აკრავს თავისუფალი ადგილი. მხოლოდ ამ საქმის მოწყობა მოითხოვს წინამძღოლს და ეს წინამძღოლობა უნდა იკისროს სოფლის ინტელიგენციამ. ამას წინად წარმოდგენის მოწყობა გადავსწყვიტე საადღგომოდ, რომლის შესახებაც სოფლის ინტელიგენციას მივმართე დახმარებისათვის. წარმოდგენის გამართვით ვფიქრობდი, სოფლად ორ კეთილს საქმეს საფუძველს ჩაუყრიდი. ერთი მხრივ ინტელიგენციის შეკავშირებას ხელს შეუწყობდი, ხოლო მეორე მხრივ სოფლის გამოღვიძებას. ინტელიგენცია დასთანხმდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით თანხმობა მხოლოდ სიტყვად რჩება. წვრილი სესხის ამხანაგობის უქონლობით დიდად სარგებლობენ მადა გახსნილი ჩარჩები. ეს ვაჟბატონები თავისუფლად დათარეშობენ სოფლებში. კაცი ვეღარაფერს შოულობს სასყიდლად: საქონელი, ფრინველი, კვერცხი, ყველი, ერბო, კარაქი სულ ყველაფერი ხელში ჩაიგდეს. ცხვარის ყიდვა რომ ვინმემ მოისურვოს, ცხრა მთას უნდა გასცილდეს და ეგებ იშოვოს სადმე.

წელს ამ სოფლის გლეხებმა ორს ადგილობრივ მოვაჭრეს ნარიმანიძეს და კაიშაურს მაგარი სასმელებით ვაჭრობის ნება არ მისცეს. ვაჭრები სოფლელებს სთხოვენ განაჩენს მაგარი სასმელებით ვაჭრობისათვის, ხოლო სოფლელები მათ სთხოვენ 12 თუმანს. ვაჭრები 10 თუმანზე მეტს

არ აძლევენ. ერთი თვე მეტია რაც მოლაპარაკება აქვთ და დღესაც ვერ მორიგდნენ. ეხლა გლეხები იძახიან, თუ არ მოგვცემენ, რამდენსაც ვთხოვთ, მაშინ მოვითხოვთ, რათა სრულებით გაუქმდეს მაგარი სასმელების დუქნებიო. ამას გაიძახიან ხსენებულ ორ მოვაჭრეზე. ხოლო მესამე ვაჭარზე, რომელიც წვრილმან საქონელთან მაგარ სასმელებითაც ვაჭრობს არაფერს ამბობენ, რადგანაც ეს ვაჭარი ამ სოფლის მკვიდრია და გლეხების მოგვარეა.

ერთი თვეა კარგი ამინდები სდგას. შესამჩნევად დათბა. გლეხები ამბობენ, ასეთი პატარა და თბილი ზამთარი ჯერ მთას არ ახსოვსო.

დ. კარგარეთელი.

ამბოხება ეპირში

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

ათინა. საერთაშორისო კომისიის წევრი მუფიდ-ბეი ურჩევს ეპირის მუსულმანთა მცხოვრებთ სთხოვონ, რათა დაინარჩუნონ ეპირში საბერძნეთის ჯარი ალბანეთის ჟანდარმებთან ერთად ამბოხების ჩასაქრობად. დურაცოში აჯანყდა ალბანეთის 300 ჟანდარმი, რომელთაც ვალონაში წასვლა ებრძანათ. მათ განაცხადეს, რომ ბრძანებას მხოლოდ ესად-ფაშისაგან მიიღებენო. ვალონის ჟანდარმები, რომელნიც დურაცოში მივიდნენ, მეამბოხეებმა გასდევნეს. მთელი ალბანიის ოლქი, აგრეთვე სპარტიის მუსულმანები, წინააღმდეგნი არიან ქრისტიან მონარქისა. იტყობინებიან, რომ აკიფაშაში ჯარისკაცებსა და მეამბოხეთა შორის ყოველ დღე სისხლის ღვრაა. დურაცოსა და ვალონას შორის ტელეგრაფის მუშაობა შეწყვეტილია.

წკაპურტები

ვინმე მოპუბლიცისტემ რუსულად ნაფიქრითა და დაწერილით გულმტკივნეულად აუწყა ქართულის არ მცოდნე ქართველობას:

„სახალხო გაზეთიდან" თაგვები გარბიან, ეტყობა გაზეთი იღუპებაო".

უნდა დავამშვიდოთ ამის დამწერი: მართალია, დამფრთხალი თაგვები გარბიან ჩვენი რედაქციიდან, ხოლო სამაგიეროდ შარშანდელზე მეტნი შემოდიან მკითხველები და მეგობრები.

* *

სადღაც შორს, შორს, ერთის სოფლის სკოლაში ანგარიშის გაკვეთილებს დაესწრო ერთი მშობელთაგანი, ყოფილი მასწავლებელი.

სკოლის მასწავლებელი გაკვეთილს რუსულად უხსნიდა ბავშვებს და მშობელმა ჰკითხა: რატომ დედა-ენაზე არ აუხსნით ტერმინების მნიშვნელობას მაინცაო.

— ეგ ნაბრძანები არაა, მიუგო მასწავლებელმა.

— ნაბრძანები არაა, შეიძლება. მაგრამ ბრძანების გარდა ხომ არსებობს პედაგოგიური სინიდისი, მოწაფეებს ხომ უნდა ესმოდეთ, რასაც ასწავლით?

— რასაც უფროსი მიბრძანებს, ჩემთვის ისაა მხოლოდ პედაგოგიური ჭეშმარიტება, სხვა არავითარი პედაგოგიური სინდისი არ არსებობს.

სთქვა პედაგოგმა მკვახედ და განაგრძო გაკვეთილი. **ჩვენ.**

უცხოეთი

საფრანგეთი. ოპოზიციამ კვლავ გამოიწვია დუმერგის კაბინეთი საბოლოო განმარტებისათვის.

კამათი კაბინეთის საფინანსო პოლიტიკას ეხებოდა და ძლიერ მწვავე ხასიათი ჰქონდა. მკაცრი კრიტიკა გაუკეთეს მთავრობას მილიერანმა, ბრიანმა და ზოგიერთმა მემარჯვენეებმა. მათ შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ფინანსთა მინისტრმა კაიომ, და ბოლოს მინისტრ-პრეზიდენტმა დუმერგმა პალატის ნდობის გამოცხადება მოითხოვა. პალატამ 329 ხმით 214 წინააღმდეგ მთავრობას ნდობა გამოუცხადა და მისი საფინანსო პოლიტიკა მოიწონა.

პარიზი. ცენტრალურ ტელეგრაფში მორიგეობის შეცვლის დროს ცხარე დემონსტრაცია გამართეს და ჯამაგირების მომატება მოითხოვეს.

ტელეგრაფისტები ემყარებიან ეხლახან მიღებულ დადგენილებას, რომ ხმელეთის ოფიცრებს ჯამაგირები მოემატოს.

სენატმა ამ დღეებში გადასწყვიტა, რომ ტელეგრაფზე მოსამსახურეთ ჯამაგირები მოემატოს, მაგრამ პალატა არ დაეთანხმა.

ტელეგრაფისტებმა განაცხადეს, რომ ისინი დემონსტრაციებს არ შესწყვეტენ, სანამ მათს მოთხოვნილებას არ შეასრულებენ.

ბულგარეთი. სოფიაში გიმნაზიელი მოწაფეები გაიფიცნენ. გაფიცულები პროტესტს აცხადებენ სიმწიფის მოწმობის მისაღებ გამოცდის ახალი კანონების წინააღმდეგ. გაფიცვა დაიწყო პროვინციაში და სატახტო ქალაქებს მოედო. გიმნაზიები დაიხურა. გიმნაზიელები ქუჩებში დემონსტრაციებს ახდენენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

20 თებერვალი.

უცხოეთი.

ვენა. რუსეთის ელჩი შებეკო მოვიდა.

ტოკიო. ზედა პალატამ, ნიშნად პროტესტისა ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ, გადასწყვიტა შეამციროს თანხა გემთა საამშენებლო 67 მილიონიდან 30 მილიონამდე. 67 მილიონი ქვედა პალატამ გადასდო. ქვედა პალატა ზედა პალატის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებით, რომ ამით შეიქმნება პრეცედენტები ზედა პალატისათვის შესცვალოს ქვედა პალატის მიერ დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვა. პარტიათა შორის უთანხმოება აუცილებელია.

ლონდონი. ჰომრულის ბილის მეორედ განხილვა დაიწყება 2—3 კვირის შემდეგ. კულუარებში ლაპარაკობენ, რომ ასკვიტის წინადადებას აზრადა აქვს ულსტერზე ფართო საადმინისტრაციო კანტროლის დაწესება. პარლამენტის დათხოვნას ივნისში მოელიან.

ბერლინი. გაზეთების სიტყვით, ალბანეთის მმართველმა იმპერატორ ვილჰელმს თხოვნით მიმართა, გაგზავნოს ალბანეთში გერმანელი ოფიცერ-ინსტრუქტორები. მეფემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

სოფია. სან-სტეფანის ხელშეკრულების წლის თავის შესრულების გამო ოფიციოზი „ეკო-დე-ბულგარი" სწერს: ბულგარელი ერი 35 წლის განმავლობაში მუშაობდა ბერლინის ხელშეკრულებით მიყენებულ ვნებათა გამოსასწორებლად; მაგრამ იმ წუთს, როდესაც ბულგარელთა გამარჯვების წყალობით სან-სტეფანის პროექტი სინამდვილედ იქცა შურიანობამ, მეტოქეობამ, სიხარბემ და საბედისწერო მოვლენათა შეჯგუფებამ ერთხელ კიდევ დაარღვიეს ბულგარეთის მთლიანობა. მიუხედავად ამისა ჩვენი ძლევამოსილება და იმედიანობა უძლეველია. ჩვენ ვიდღესასწაულებთ სან-სტეფანის ხელშეკრულების წლის თავს და მეცადინეობას გავაორკეცებთ ბულგარეთის ერის მომავლისთვის. ბოლოს და ბოლოს ისტორია ღირსეულად მიუთვლის შრომის მოყვარე ერს.

სტამბოლი. ფინანსთა მინისტრმა გამოაქვეყნა ოსმალეთის ფინანსიაა მდგომარეობის ანგარიში. მისი აზრით, მდგომარეობა რთულია, მაგრამ უნუგეშო არ არ არის. საჭიროა შემცირდეს მიწათ-მომქმედთა არანორმალური გადასახადები; გამოიძებნოს არა პირდაპირ გადასახადთა ახალი წყაროები; მინისტრის აზრით, ოსმალეთის კეთილ-დღეობისათვის საჭიროა ეკონომია და სრული მშვიდობიანობა.

ლვოვი. სეიმმა მიიღო გალიციის ხარჯთ-აღრიცხვა, რის შემდეგაც პალატის სხდომები გადაიდო.

ვალდენბურგი. ალბანეთის მმართველი მეუღლითურთ და სასახლის ამალით მიუნხენიდან ტრიესტით ალბანეთს გაემგზავრა.

ვენა. „ნეიე-ფრ.-პრესსეს" და „რეიხსპოსტის" აზრით უგრორუსთა პროცესში მთავარი დამნაშავე ბობრინსკი იყო და სწორედ ის დარჩა დაუსჯელადო. უგრორუსთა პროცესი ნიშანია პანსლავიზმის აღვირწახსნილ თავხედობისაო. გაზეთების აზრით დამნაშავეებისთვის საჭიროა სასჯელის შემსუბუქება, თუმცა დასძენენ, რომ ისინი მსხვერპლნი არიან აუცილებლობისაო.

ტრიპოლი. მიანის რაზმმა დილით მურზუკი აიღო. ციხეზე ააფრიალეს იტალიის დროშა. წაიკითხეს მეფის დეკლარაცია, საცა გამოცხადებულია, რომ ფეცანის მთელი ოლქი იტალიის სუვერენიტეტის ქვეშ არის აღიარებულიო.

რევა. დააპატიმრეს ბოროტგამზრახველი, რომელსაც გუბერნატორის მოკვლა ჰსურდა.

რომი. ლივიისათვის გაწეულ ხარჯთა განხილვის შემდეგ პალატამ, ჯიოლიტის წინადადებით მიიღო მორიგ საკითხებზე გადასასვლელი უბრალო ფორმულა. ამის წინააღმდეგ ხმა მისცეს სოციალისტებმა, რესპუბლიკანელებმა და რადიკალებმა.

პრაგა. ახალგაზრდა ჩეხელთა და სახალხო სოციალისტთა შორის ატეხილმა კამათმა გამოიწვია „ნაროდნი ლისტის" მკაცრი წერილი; გაზეთი სახალხო სოციალისტთა კლუბის თავმჯდომარეს შვიხაუს ბრალსა სდებს, რომ იგი პოლიციის სამსახურში იმყოფება და კლუბის გადაწყვეტილებას პოლიციას ატყობინებსო. შვიხაუმ პოლიციას შეატყობინა, რომ სახალხო-სოციალისტთა პარტიის დეპუტატები ბელგრადს აპირებენ წასვლასო, რამაც გამოიწვია კლოფაჩის ზელინში დაპატიმრება. შვიხაუ გაზეთს ცილისწამებისათვის სამართალში აძლევს. გაზეთი აცხადებს, რომ მას ხელთ უჭირავს საბუთებიო.

რუსეთი.

კრასნოიარსკი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შეკრებილმა თათბირმა სასურველად სცნო გუბერნიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაუყოვნებელი შემოღება.

პეტერბურგი. საპენსიო წესდების შეცვლის კომისიამ სურვილი გამოსთქვა, მთავრობამ შეიმუშაოს კანონპროექტი სამოქალაქო და სამხედრო უწყების მოხელეთა პენსიის დანიშვნაზე.

პოლიციის რეფორმათა კომისიამ საჭიროდ სცნო პოლიციის მოხელეთა დასათხოვნად დაარსდეს გუბერნატორის კანცელარიებში სადისციპლინო საკრებულო, რომლის გადაწყვეტილებითაც შეიძლება დათხოვნა პოლიციის მოხელეთა მეექვსე კლასამდე. მე-6 კლასის ზევითა მოხელეთა დათხოვნა შეიძლება შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობით. ოპოზიციის და ოქტომბრისტების ხმით უარჰყვეს წინადადება, რომლის თანახმადაც ებრაელების მიღება პოლიციის სამსახურში აკრძალული იქნებოდა. უბნის ზედამხედველებისა და ბოქაულის თანაშემწეებისთვის საჭიროა განათლების ცენზი—საშუალო სასწავლებლის ექვსი კლასის კურსი, ბოქაულებისა და პოლიცმეისტერებისათვის—საშუალო სასწავლებლის სრული კურსი.

ეკატერინოდარი. პოპოვიჩის სტანიცაში მხეცური დანაშაულება აღმოაჩინეს: მღვდელი ლუდკინი 78 წლისა, მისი ცოლი და ორი მოსამსახურე საკუთარ სახლში ჩამოეხრჩოთ და გაეტაცნათ ძვირფასი ნივთეულობა და ფული.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. შაბათს, 15 თებერვალს, ქართულმა დასმა დასდგა „მედეა", საუცხოვო იყო ქ-ნი ნინო ჩხეიძე მედეას როლში. კარგი იყო ა. იმედაშვილი იაზონის როლში, მხოლოდ ცოტა როლის უცოდინრობა ეტყობოდა. არა უშავდარა კ. მესხი, პიესამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა და და კარგადაც იყო დადგმული ხალხი საკმაო დაესწრო.

ბაქო. კვირას, 16 თებერვალს, მსახიობის და ჩვენი დასის რეჟისორის ნიკო გვარაძის საბენეფისოდ დაიდგა შალიკაშვილის პიესა „გადაქრილი მუხა". ამით დამთავრდა საზამთრო სეზონი ქართული წარმოდგენებისა ბაქოში. სეზონი დაიწყო ენკენისთვის გასულს, ასე რომ სამ თვე ნახევარში დაიდგა სულ ოცი წარმოდგენა. მთელი სეზონის განმავლობაში ხალხი საკმაოდ ესწრებოდა.

დრამატიულმა სექციამ გადასწყვიტა, განაგრძოს წარმოდგენების მართვა დიდ მარხვაშიაც პირველ მაისამდე. გაიმართება სულ რვა ან ცხრა წარმოდგენა. პირველი წარმოდგენა განზრახულია თაღიევის დიდ თეატრში, 26 თებერვალს. ჩვენი ნიჭიერი მსახიობების ნინო ჩხეიძის და ვალერიან გუნიას მონაწილეობით დაიდგმება ცნობილი ისტორიული დრამა სუმბათაშვილისა „ღალატი". დრამატიული სექცია უკვე შეუდგა მზადებას ამ წარმოდგენისთვის. წარმოდგენა დიდად საინტერესო იქნება.

შემდეგი წარმოდგენები-კი გაიმართება სომეხთა კაცთ-მოყვარე საზოგადოების თეატრში (გიმნაზიის ქუჩა) დაკლებული ფასებით.

სოფ. ბელოგირი (თერგის ოლქი) პარასკევს, 14 თებერვალს, ქართული სკოლის დარბაზში წარმოდგენილი იყო „დედა და შვილი" დრამ. ერთ მოქ. ილ. ჭავჭავაძისა და „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს" კომედ. ორ მოქმედ. ერისთავისა. ბოლოს დადგეს ცოცხალი სურათები „ნინო, ქეთევან, და თამარი", ორ სურათად და შემდეგ „მირთმევა ვეფხის ტყაოსნისა შოთასაგან თამარ მეფეს" ეს მეტად კარგი იყო და ძალიანაც მოეწონათ. წარმოდგენამაც კარგად ჩაიარა, ნამეტნავად კომედიამ. კარგად შეასრულეს როლები ქ-ნთ ევა გიგაურმა, ანიკო ხატისკაცისამ, ილიკო გუჯეშაშვილმა, ანდრ. კალანდარიშვილმა და დავით არევაძემ.

პეტრე მეტრეველი.

დ. ჭიათურა. შაბათს, 15 თებერვალს, ადგილობრივ თეატრში დრამატიულმა დასმა გამართა სახალხო წარმოდგენა. წარმოადგინეს ისტორიული დრ. ვ. გუნიასი „და—ძმა". თუმცა ბევრჯელ უთამაშნიათ აქ ეს პიესა, მაგრამ ხალხს მაინც იზიდავს. ამ საღამოსაც დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. თამაშის მხრით, პიესა კარგათ ჩაატარეს, რადგან ამ პიესისთვის საკმაო ძალები მოგვეპოება. მშვენიერად ჩაატარა ქ. ქილარჯიშვილმა მარინეს როლი და თითქმის უნაკლულოდ ბ. ა. მურუსიძემ (გაიოზ ფილავა). დაკვირებით თამაშობდა კ. მაჭარაძე (ოტია), მაგრამ უკანასკნელ სცენას, როცა ოტიას ადამია ელანდება, ვერ ჩასწვდა. ფაშის როლი აბდუშელს არ შეეფერებოდა და ვერც გადმოგვცა მთლიანად. კარგი ადამია იყო ივ. გომელაური. არა უშავდა ქ. სიხარულიძეს (გადია). მოხდენილად ჩაატარა ახალგაზრდა სცენის მოყვარემ პ. ლოლაძემ გიორგის როლი. დანარჩენები ხელს უწყობდენ პიესის რიგზე ჩატარებას. ხალხი კმაყოფილი დარჩა და ბევრჯელ გამოიწვიეს მოთამაშენი.

მეორე დღეს კვირას, 16 თებერვალს, წარმოადგინეს „სიზმარი კოშკში" დრამატიული ნაკვეთი 1 მოქ. კონსტან-ანდრონისა. „რაც არ მერგება, არ შემერგება" ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიას. და „ღვაწ" ა. ცაგარლისა. გუნიას ხსენებული ვოდევილი კარგად ჩაატარეს და ხალხიც ძალზე გამხიარულდა, დანარჩენები-კი უფერული იყო.

განზრახვა აქვთ ამ მოკლე ხანში წარმოადგინონ ი. გედევანიშვილის „სინათლე", რისთვისაც როგორ გამოცხადებული იყო იხატება შესაფერი დეკორაცია და იკერება ტანსაცმელი. **—ძე.**

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახალხო სახლი. საშაბათს, 25 თებერვალს, ქართული წრის მიერ რეჟისორის **ალ. წუწუნავას** საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება: 1) „პირიმზე" ზღაპრული მოთხრობა კ. ფოცხვერაშვილისა, გალექსილი შოთა დადიანის მიერ, 2) „მორევში" ორიგინალური პიესა ს. ქანტურიშვილისა მესამე მოქმედება ალ. იმედაშვილის მონაწილეობით და 3) „რევიზორი" გოგოლის კომედია მეხუთე მოქმ. ტასო აბაშიძის მონაწილეობით მოსკოვის სამხატვრო თეატრის გეგმით და მიზან სცენებით. ალ. წუწუნავს ჩვენი საზოგადოება კარგად უნდა იცნობდეს. მესამე სეზონია, რაც იგი პირნათლად და ენერგიულად მუშაობს სახალხო სცენაზე. არა ერთხელ მოუყვანია საზოგადოება აღტაცებაში თავის მიერ დადგმულ პიესებით. ზემო ჩამოთვლილი პიესებში იღებენ მონაწილეობას წრის ყველა სცენის მოყვარენი.

შემოწირულება

ილიასეულ სახლის გამოსასყიდად შემოსწირეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას კიდევ შემდეგმა პირებმა:

კნ. მ. ვ. და ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანებმა 100 მან., ალ. ალხაზიშვილმა და ალ. გოცირიძემ 100 მ., ლ. კ. მამულაიშვილმა 100 მან., აკ. ხოშტარიამ 100 მ., ეპისკოპოსმა გიორგიმ 50 მ.. თ-დ ი. დადიანმა 50 მ. ოცდა-ხუთ-ოცდა-ხუთი მანეთი: ეპისკოპოსმა ლეონიდემ, ნ. ჯაყელმა, ს. კვიტაშვილმა, ალ. ბერულაშვილმა, ად. ზ. ბერულაშვილმა, ძმ. ბოსტოღანაშვილებმა, ს. ჩიქოვანმა, კ. ყიფიანმა, ვ. ქიქოძემ, გ. ზ. ქურდიანმა, ა. ა. ზედგინიძემ, ნ. გ. გვამიჩავამ, ოც-ოცი მან.: ი. თურქიამ, ე. ი. და ი. მ. ჩიტაიევებმა; თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი: თ-დ ლ. გ. ჯანდიერმა, დ. ლ. თულაშვილმა, ა. მ. საგინაშვილმა, თ-დ პ. დ. ცაციშვილმა, თ-დ კ. პ. თუმანიშვილმა, თ-დ ი. დ. ავალიშვილმა, მ. ჯინორიძემ, არ. აბნაზაროვმა, თ-დ ი. ლ. ჩერქეზიშვილმა, „თემი"-ს რედაქციამ, ვ. ა. დემიდოვმა. „სახალხო გაზეთი"-ს საშუალებით 146 მ. 80 კ. სულ 1151 მ. 80 კ.

წინად შემოწირული 3000 მ. 25 კ.

ჯამი 4152 მ. 05 კ.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**



კოხიერი პუდრი
კანს ხავერდივით არბილებს და ახალგაზრდობის ელფერს აძლევს
ფერ. მიულჰენსისა პარფიუმერ. კელნი რ განყოფ. - რიგაში.
კოლოფი 30 კაპ.
იყიდება ყველგან.
Метцль. 547928.
1021

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **სამფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ.; № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 6 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **სამფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სამ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: **სამფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს.

ყარსისკენ: **სამ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** [illegible] 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **სამფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგზ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **სამფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საღამოს 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

სამშობიარო
თავშესაფარი
ი. უხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი **№ 8.** მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ემმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეგბუდოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბავშო, ქალებისა და ბიღშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბავშო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ბეგლარიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1071 დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

სასანიტარო ექიმები
უბნები: 1—2 პ. ფომინა-ოსიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ჩერ. ლ. ქალდინბერგი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6ა. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვის ქ. 10. ტელ. 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **გ. თ. ნათაძე** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **გ. ა. მირზოევი** (მიხეილ. პროსპ. 174 ტელ. 327.)
სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დ ეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და სალაკის მოედანზე.

ს. ა. ბრიაზნოვი
სხვა მასწავლებლებთან ერთად
ამზადებს
გიმნაზიის, რეალურ დ კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. **ვერა,** იზმაილოვის შესახვ., ბულინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 43

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
ჩვენი მწერლობა.
სუმბათაშვ. ღალატი, ტ. 1906. 1—25 კ.
ტარუაშვილი. თხზი დ ცხვრები, იგავი, ტ. 1913. 15 „
„ მამა-შვილი, ანუ გაუბედურებულნი, დრ. 3 მ. ტ. 1908. 15 „
„ მტარვლის ბედი, დრ. 1 მოქ. ტ. 1910. 10 „
ფურცელაძე ან. ასული ისრაილისა, ტ. 1900. 30 „
მ. ცი ხვიტია, ტ. 1911, მისივე, 50 „
ქიტესა ტ. 1890. 15 „
ბრძოლა საქ. მოსპ. და საქარ. შესაერთებლად, ტ. 1912. 1 მ.
ფრონელი ა. მთიულეთი, 1804, ტფ. 1806 წ. 40 „
ამბოხ. კახეთ. (1812), ისტ. ამბები, ტ. 1907, 60 „
მთის არწივი შამილი, ისტორ. ამბავი, ტ. 1914. მისივე, 25 „
ქილილა და დამანა, ტ. 1886. 1— „
ქვარიანი ს. სუმბული, ლექსები. ყვ. 1901. 25 „
ვიზიტი (ეტიუდები), 1903. 10 „
ქებათა-ქება დ სულემატ. ტ. 1909. 10 „
ყაზბეგი ალ. თხზ. ტ. 1905. 3—50 „
ელისო, ქუთ. 1909. 10 „
ყარამანიანი. 16 კარ. თითო კარი 40 „
ყიფიანი ვ., სემგრ. მთავ. ლევანი, ისტ. დრამა 5 მოქ. 40 „
ყიფიანი სვ. წვრ: მოთხრ. 1911. 60 „
შიუკაშ. გამხმარი ფოთ. 1911. 20 „
„ მეგობრ. დრ. 4მ. ტ. 1911. 30 „
მიღებულია ახალი წიგნები.
თაყაიშვ. ე. საისტ. მასალ. 1913. 25 „
ხუნდაძე ს. ქართ. ლიტერ სახელმძღვანელო, ქუთ. 1914. 15 „
ევდოშვ. საყმაწ. მოთხრ. 1914. 10 „
ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.